საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი

THE MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
LEPL – NATIONAL AGENCY OF CRIME PREVENTION, EXECUTION OF NON-CUSTODIAL SENTENCES AND PROBATION HEAD OF AGENCY

KA010113203194220

0177 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42, საქართველო, ტელ. /Tel.: (995 32) 2303012

№ 2/3821 **16 / იანვარი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოადგილეს
ბატონ თენგიზ აბაზაძეს

ბატონო **თენგიზ,**

გაცნობებთ, რომ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – პრობაციის ეროვნული სააგენტო) და დანაშაულის პრევენციის ცენტრის (შემდგომ – ცენტრი) უფლებამოსილებები 2020 წლის პირველი იანვრიდან გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ითვლება პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და ცენტრის უფლებამონაცვლედ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ყოველივე ზ\აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსიპ- დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმდეს, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ახალი ხელშეკრულება, რომლითაც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის, სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2016 წლის 5 ივლისის ხელშეკრულების“ პირობებთან ერთად დამატებით გათვალისწინებული იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ მსჯავრდებულთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი, საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრული ქულის ნახვის შესაძლებლობა.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/